დანართიN1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მიერ ავტორიზაციის

პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი
წევრები:
ნინო გორგოშაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **245539403**

სახე:

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

II. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია	144	67	60
გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია	144	66	39

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

III. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის **17.05.2022 N4999921** ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა **შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის** (შემდგომში დაწესებულება) ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა"ქვეპუნქტის ა.ბ), "დ" ქვეპუნქტის დ.ა), "ე" ქვეპუნქტის ე.ბ) კომპონენტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია" და "გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია" დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ), ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.(მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე).ვიზიტი განხორციელდა ქ.ბათუმში მიმდინარე წლის **30-31 მაისს** ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად. (იხილეთ დანართი 1 - ვიზიტის განრიგი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დაწესებულების მატერიალური რესურსის, მათ შორის ბიბლიოთეკის, A, B და C (სიმულაციური სასწავლო გარემო/პრაქტიკის ობიექტი) გარემოს, ადაპტირებული გარემოს და სველი წერტილების დათვალიერება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ინტერვიუ წარიმართა კონსტრუქციულ ვითარებაში დაწესებულების ადმინისტრაციასთან, მათ შორის პროფესიული განათლების მიმართულებაზე და სტრატეგიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებთან. დაწესებულების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელ პირებთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე, პერსონალის მართვაზე და განვითრებაზე, მატერიალურ, ფინანსურ და საინფორმაციო რესურსებზე პასუხისმგებელ პირებთან, პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, მათ შორის პროგრამების ხელმძღვანელებთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებთან. წარმოების დასრულებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა მიგნებები და გააცნო დაწესებულებას.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **„გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“** და **„საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“** შეფასდა **როგორც „მეტწილად შესაბამისი“,** ავტორიზაციის მე-2- ე სტანდარტთან მიმართებით (2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“) მონიტორინგის წარმოების ფარგლებში ზემოაღნიშნული ორივე პროგარამის 2.2. 2.3 და2.4 კომპონენტები შეფასდა **„სრულ შესაბამისად“** და აღნიშნულიდან გამომდინარე მეორე სტანდარტი არის „სრულ შესაბამისობაში“ ორივე პროგრამასთან მიმართებაში.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა როგორც **„მეტწილად შესაბამისი“** სტანდარის მოთხოვნებთან, რადგან 1.2, 4.1 და 5.2 კომპონენტები შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“. მონიტორინგის წარმოების ფარგლებში ზემოაღნიშნული კომპონენტების შეფასდა **„სრულად შესაბამისი“** და აღნიშნულიდან გამომდინარე პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები არის „სრულ შესაბამისობაში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება		**შეესაბამება**
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა		**შეესაბამება**
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.2) საინფორმაციო რესურსები		**შეესაბამება**

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

1.2.

- რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდეს თითოეული განსახორციელებელი აქტივობისთვის საჭირო ფინანსური/მატერიალური რესურსი. მაგალითად, ამოცანა "სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება: საჯარო ლექციების ორგანიზება; სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცის გაუმჯობესება" ექსპერტთა შეფასებით საჭიროებს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფას დაწესებულების მხრიდან.
- რეკომენდირებულია განახლებულ ვებგვერდზე მოხდეს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების განთავსება, რომელიც შესრულებული იქნება დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარჩოს შესაბამისად, ინფორმაციის საჯაროს განთავსება მოხდეს ყოველწლიურად. ექსპერტთა შეფასებით კომპონენტი მეტწილად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს. **გათვალისწინებულია;**

2.2.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პროგრამით გათვალისწინებული 40 კრედიტიანი საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფისათვის განახორციელოს საკუთარ მფლობელობაში არსებული გემის „კაპიტანი ო. ჩახვაძთან“ ერთად მოიძიოს ალტერნატიული პრაქტიკის ობიექტები.
- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პროგრამის 2022 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი ისე გაწეროს, რომ ექსპერტებმა ადვილად მოახდინონ პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობის შეფასება.
- რეკომენდირებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს მინიმუმ იმ ვადით, რომ საფრთხე არ შეექმნას პროგრამის განხორციელების მდგრადობას (წარმოდეგნილი ხელშეკრულებები 2021 წლის აპრილშია გაფორმებული 18 თვით, პროგრამის ხანგრძლივობა 15 თვეა).
- რეკომენდირებულია, დაწესებულებამ 2022 წლის საპროგნოზო ბიუჯეტის მომზადების დროს გაითვალისწინოს ზემოთაღნიშნული და ისე გაწეროს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომ ექსპერტებმა ადვილად მოახდინონ პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობის შეფასება. **გათვალისწინებულია;**

2.3.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადახედოს მეთოდოლოგიის დასახელებას, რადგანაც მას „შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია“ ეწოდება, თუმცა შინაარსობრივად მოიცავს საკითხებს შიდა და გარე კვლევებთან მიმართებით.
- რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეასრულოს მაკორექტირებელი გეგმით გაწერილი აქტივობები, კერძოდ ჩატარდეს კვლევა შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა სტატისტიკის, დამსაქმებელთა კმაყოფილების მაჩვენებლების და გამოხმაურებების გათვალისწინებით, ასევე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პირობებით, სასწავლო პროცესით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და სწავლების ხარისხით, სტუდენტური სერვისებით სარგებლობის კმაყოფილების კვლევა, რაც დაწესებულებას დაგეგმილი აქვს მაკორექტირებელი გეგმით. **გათვალისწინებულია;**

2.4.

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეასრულოს მაკორექტირებელი გეგმით გაწერილი აქტივობები 1) სასწავლო გეგმებისა და კალენდარული გეგმების ადაპტირებას; 2) შეფასების პროცესში მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების უზრუნველყოფა; 3) შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის დაგეგმვა და მართვა სასწავლო პროცესის დაწყებამდე გონივრულ ვადაში; 4) შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციის უზრუნველყოფა; 5) ვერიფიკაციის პროცესის სანდოობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

უზრუნველყოფა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის გზით; 6) ვერიფიკაციის განხორციელების წესისა და პერიოდულობის დადგენა; **გათვალისწინებულია;**

4.1.

- რეკომენდირებულია ყველა რეგულაცია, რომელიც უკავშირდება დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს და ვებგვერდის მეშვეობით ინფორმირებას, საჯაროდ განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზე.
- რეკომენდებულია დასაქმებულთა პირადი საქმეები მოწესრიგდეს და შესაბამისობაში მოვიდეს პერსონალის მართვის დებულებით გაწერილ მოთხოვნებთან; უცხო ენაზე გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები აღიარებულ და დადასტურებულ იქნას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;
- რეკომენდებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაში მოვიდეს დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სამუშაო აღწერილობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
- რეკომენდებულია დაზუსტდეს დასაქმებულთა სამუშაო დრო, როგორც დაწესებულების შინაგანაწესში, ასევე შრომით ხელშეკრულებებში, საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის შესაბამისად. შინაგანაწესში და ხელშეკრულებაში ორი ერთმანეთის გამომრიცხავი ჩანაწერია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

- შრომითი ხელშეკრულების საგანში გაიწეროს პროფ. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და პროგრამის შემავალი მოდულები/სწავლის შედეგები (თუკი კონკრეტული მოდულის რომელიმე სწავლის შედეგს კითხულობს).
- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სტრუქტურაში გამოაჩინოს პროფესიული განათლების მასწავლებლის სტრუქტურული დაქვემდებარება.
- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, იხელმძღვანელოს პერსონალის მართვის დებულებით გაწერილი პირადი საქმის წარმოების წესით და შესაბამისობაში მოიყვანოს დადგენილ რეგულაციასთან. მოსთხოვოს დასაქმებულს/პოტენციურ თანამშრომელს უცხო ენაზე გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პირადი საქმის წარმოების წესში იმპერატიულ მოთხოვნად გაწეროს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარდგენის აუცილებლობა (გასაუბრების დროს დადგინდა, რომ პრაქტიკულად ხორციელდება დაწესებულებაში).
- რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებებსა და შრომის შინაგანაწესში დაზუსტდეს დასაქმებულთა სამუშაო დრო, საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის შესაბამისად და შესაბამისობაში მოვიდეს კვირეულ 40 საათიან სამუშაო დატვირთვასთან. ასევე, გაიწეროს რეგულაცია შაბათ დღეს პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიზნებისთვის, რაც პრაქტიკულად ხორციელდება დაწესებულებაში და განხორციელდეს შესაბამისი აღრიცხვიანობა.

- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სტატუსი შესაბამისობაში მოვიდეს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონთან. შრომითი ხელშეკრულების საგანში გაიწეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და პროგრამის შემავალი მოდულები/სწავლის შედეგები (თუკი კონკრეტული მოდულის რომელიმე სწავლის შედეგს კითხულობს). აგრეთვე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს მინიმუმ იმ ვადით, რომ საფრთხე არ შეექმნას პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან ამოიღოს ძალადაკარგულად გამოცხადებული ნორმატიული ბაზის ცოდნის მოთხოვნა და პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების დანერგვის ვალდებულება.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცედურებიდან ამოშალოს აკადემიურ განათლებასთან დაკავშირებული აქტივობები.დაწესებულების განმარტებით, წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმის თანახმად, მიმდინარეობს სტრუქტურული ცვლილებების, სამუშაოთა აღწერილობის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პერსონალის ფუნქციონალური მოვალეობების და სამუშაო პირობების ნორმატიული ცვლილებები და შესაბამისობაში მოვა 2021 წლის დეკემბრის ბოლომდე. **გათვალისწინებულია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

5.2.

- **რეკომენდირებულია დაწესებულებამ განახლებული ვებგვერდის და ფეისბუქგვერდის მეშვეობით მიიღოს უკუკავშირი და გამოიყენოს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. გათვალისწინებულია;**

VII. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

VIII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.2. რეკომენდირებულია ყველა სტრუქტურული ერთეული/პირი ეფექტურად ჩაერთოს დაწესებულებაში ხარისხის კულტურის დანერგვის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

IX. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ერთწლიანი სამოქმედო/სამუშაო სამოქმედო და განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავების და მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულება“, რომელიც ასახავს დაწესებულების ერთწლიანი, გეგმის დაფუძნების და დანერგვის მიზნებს, მათ სტრუქტურას, ერთწლიანი გეგმის შემუშავების წესს და კონტროლს, 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას, სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, შემოწმებას და კონტროლს. დოკუმენტს ასევე ახლავს პერიოდული შეფასების და პერსონალის მიერ დოკუმენტის გაცნობის ფურცლები.

დაწესებულების 2021-2027 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის და 2022 სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი განხორციელდა დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. დაწესებულებაში იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიით, განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავებას და ამ პროცესში სასწავლებლის ფართო საზოგადოების ჩართვას. დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2022 წლის 17 იანვრის სენატის დადგენილებით, სხდომის ოქმი N01; გენერალური დირექტორის 2022 წლის 17 იანვრის ბრძანება N08-02/22 საფუძველი:ნდ 2-010107 „ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულება“. სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართული მხარეებია: დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, საფინანსო განყოფილების უფროსი და ადამიანური რესურსების მენეჯერი.

2. ექსპერტთა შეფასებით, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს; კერძოდ, დაწესებულების სტრატეგიული გეგმის გადახედვის ინიცირება ხდება გენერალური დირექტორის მიერ, რომლის ხელმძღვანელობით იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიით, განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავებას და ამ პროცესში სასწავლებლის ფართო საზოგადოების ჩართვას, მათ შორის პარტნიორების და პოტენციური დამსაქმებლების ჩართვას, რაც საშუალებას იძლევა დაგეგმარების პროცესში მოხდეს რეგიონის პრიორიტეტების გათვალისწინება.

3. ექსპერტთა შეფასებით დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021-2027) მოიცავს ინფორმაციას: სასწავლებლის ისტორიის, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის, დაგეგმვის ინიცირების, მომზადების და განხილვის, დამტკიცების, სამოქმედო გეგმის შედგენის მონიტორინგის შესახებ. დოკუმენტში დაწვრილებითაა აღწერილი დაწესებულების მიღწევები, მათ შორის პროფესიული განათლების მიმართულებით, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროში, ისე ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISO) შესაბამისობის მიმართულებით, ასევე აღწერილია საერთაშორისო დარგობრივ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის შესახებ ინფორმაცია.

ასევე, სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მისიიდან გამომდინარეობს, გეგმაში განსაზღვრულია განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები, და თაიმლაინი. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია მიზნის მიღწევის ინდიკატორები-იმ ობიექტური გარემოებების ჩამონათვალი, რომელიც დაადასტურებს, რომ დაწესებულების მიერ გაწერილი მიზნები ნამდვილად იქნება მიღწეული.ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების 2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, გეგმა ითვალისწინებს მიზნებს, ამოცანებს და განხორციელების მექანიზმებს, განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს/სტრუქტურას, შემსრულებელს, ფინანსურ რესურსებს და შესრულების ინდიკატორებს. ექპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 1წლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდეგნილი პასუხისმეგებელი პირების/სტრუქტიურების და შემსრულებლების ფუნქცია-მოვალეობები, მათი ფუნქცია-მოვალეობები შესაბამისობაშია 1 წლიან სამოქმედო გეგმაში ამოცანებსა და განხორციელების მექანიზმების შესრულებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის პასუხისმგებლობებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ყოფილიყო თითოეული განსახორციელებელი აქტივობისთვის საჭირო ფინანსური/მატერიალური რესურსი. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებამ იხელმძღვანელა სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით და გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია 2022 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ერთწლიანი სამოქმედო/სამუშაო და განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულება;*
- *უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა(შვიდწლიანი), 2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *დაწესებულების 2022 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი;*
- *ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *სამოქმედო გეგმის დამტკიცების ოქმი N01 17.01.2022; გენერალური დირექტორის ბრძანება N08-02/22 17.01.2022 ;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

1. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. დოკუმენტის თანახმად დაწესებულებაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი მიმდინარეობს იმის დასადგენად, თუ რამდენად იქნა მიღწეული დასახული გეგმები, დადგენილ ვადებში, დაგეგმილი ბიუჯეტითა და რესურსებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესაბამისი შეფასების გეგმის და მონიტორინგის ჩარჩოს ფორმა. დაწესებულების მართვის ეფექტიანობის მონიტორინგსა და შეფასებას ახდენს გენერალური დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში სამუშაო ჯგუფი). გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების დროს ხდება დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინება - მასწავლებლები, სტუდენტები, თანამშრომლები, ხდება სტუდენტთა და დასაქმებულთა კვლევის შედეგების გათვალისწინება.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების საბოლოო პროდუქტია ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის დოკუმენტი. დოკუმენტის შერულებაზე პასუხისმგებელი პირი დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსია, იგი ანალიზს ატარებს წელიწადში ერთხელ, რომ შემოწმებულ იქნას დაწესებულებაში ხარისხის მართვის სისტემის მუშაობა. ექსპერტებმა შეისწავლეს აღნიშნული დოკუმენტი მონიტორინგის დროს, აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება მოხდა ყველა სტრუქტურული ერთეულისგან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით. წარმოდგენილი ანალიზის დოკუმენტი ითვლება ნორმატიულ დოკუმენტად მთელი პერსონალისათვის.

2. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე; კერძოდ, დაწესებულების მიერ შემუშავებული სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულების თანახმად, დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, განათლების ხარისხის სპეციალისტი და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციალისტი შეიმუშავებენ „ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის დოკუმენტს“. დოკუმენტის შერულებაზე პასუხისმგებელი პირი დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსია. დოკუმენტი ეყრდნობა წინა ანალიზის შედეგების ღონისძიებათა ჩატარების შედეგებს. ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების შედეგებს, რუსული რეგისტრის აუდიტორების მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგებს. დაწესებულება ანალიზს ატარებს წელიწადში ერთხელ, რომ შემოწმებულ იქნას დაწესებულებაში ხარისხის მართვის სისტემის მუდმივი და ეფექტური მუშაობა მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად, მომავალი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვისდა სერვისების გაუმჯობესებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

3. ექსპერტთა შეფასებით, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია. კერძოდ, ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების ვებგვერდი, სადაც ატვირთულია შიდა ნორმატიული დოკუმენტები, მათ შორის 2021 წლის სამოქმედო გეგმის ანალიზი და ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი. იხ. https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=page&id=26.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები - მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, შეფასების გეგმა და ჩარჩო;*
- *მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;*
- *ერთწლიანი სამოქმედო და განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულება;*
- *დაწესებულების საქმიანობის წლიური ანგარიშები- 2021 წლის ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი.*
- *დაწესებულების ვებგვერდი;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. კერძოდ, გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში „ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. აღნიშნულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

დოკუმენტში მკაფიოდაა აღწერილია სტრუქტურული ერთეულების ძირითადი მიმართულებები, ფუნქციები და სტრუქტურული პირების ფუნქცია-მოვალეობები. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალისთვის სამუშაო აღწერილობების გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს დაუდასტურეს ექსპერტებს, რომ ისინი კარგად იცნობენ საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

2. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. კერძოდ, დოკუმენტში „ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ გაწერილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ არ ხდება მათი გადაფარვა ან დუბლირება.

დაწესებულების ძირითადი საქმიანობა ხორციელდება ორი მიმართულებით:

1)პროფესიული განათლების დეპარტამენტი - დეპარტამენტის მიზანია მეზღვაურთა რიგითი შემადგენლობის მომზადება პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებით;

2)მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი - მოქმედი და დამწყები მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების კურსები „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“, ცვლილებებით (STCW, as amended) საერთაშორისო კონვენციის და მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

მიმდინარე წარმოების დროს ექსპერტებმა ინტერვიუირება მოახდინეს თითქმის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთან. მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს 2022 სამოქმედო გეგმა. პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები, მათ ფუნქცია-მოვალეობასთან მიმართებით, სწორად არიან გადანაწილებული სამოქმედო გეგმაში.

რეკომენდირებულია ყველა სტრუქტურული ერთეული/პირი ეფექტურად ჩაერთოს დაწესებულებაში ხარისხის კულტურის დანერგვის პროცესში.

3. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც ჰყავს უფროსი და ხარისხის სპეციალისტი. მათი ფუნქციები გაწერილია გენერალური დირექტორის მეირ დამტკიცებულ „ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებში“. ექსპერტებმა შეისწავლეს ზემოთაღნიშნული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმა, რომლითაც ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესში გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი, რაც ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

- *დაწესებულების სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;*
- *დაწესებულების წესდება;*
- *პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;*
- *ხარისხის უხრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარისხის უხრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტები;*
- *ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ინტერვიუს შედეგები.*

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

1. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. კერძოდ, დაწესებულებაში შექმნილია შინაგანაწესი და პერსონალის მართვის დებულება, რომლებიც ვრცელდება დაწესებულების მთელ პერსონალზე. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელ რგოლს და ადამიანური რესურსების მენეჯერს, დოკუმენტაციის შესწავლის და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება აკმაყოფილებს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დაწესებულება ხელმძღვანელობს პერსონალის მართვის დებულებით გაწერილი პირადი საქმის წარმოების წესით . თანამშრომელთა პირად საქმეში წარმოდგენილია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.

2. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, დაწესებულებაში შესაბამისი პროცესები მიმდინარეობს დაწესებულების გენერალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის დებულების შესაბამისად. მართვის ორგანოებში ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში სასწავლებლის გენერალური დირექტორი ქმნის კომისიას, რომელიც გენერალურ დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციებს მართვის ორგანოებში დანიშვნასთან დაკავშირებით, პოზიციების ფუნქციონალურ მოვალეობაზე დაყრდნობით. დაწესებულებაში არსებობს სტაჟირების ინსტიტუტი, სტაჟიორი შეირჩევა გასაუბრების საფუძველზე კომისიის წინაშე, რომელსაც ამტკიცებს გენერალური დირექტორი და ატესტაციის ჩასატარებლად ბრძანებით ქმნის საატესტაციო კომისიას. გენერალური დირექტორის ბრძანებით თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება დაწესებულების ყველა სამსახურის ხელმძღვანელი და თანამშრომელი.

დაწესებულების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით. პარტნიორთა კრება თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალურ დირექტორს და მასზე ახდენს სასწავლებლის მართვის დელეგირებას. გენერალური დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. გენერალური დირექტორის პოზიცია შესაძლოა დაიკავოს, როგორც სასწავლებლის დამფუძნებელმა, ასევე მოწვეულმა პირმა, რომლის მიმართაც დგინდება შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, ვაკანსიის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავდაპირველად დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები - კონკრეტული მოთხოვნები თანხმდება კონკრეტულ სამსახურთან, რომლისთვისაც ვაკანსია უნდა გამოცხადდეს. ვაკანსიის განაცხადის განთავსება ხდება როგორც სასწავლებლის საინფორმაციო სივრცეში (ვებგვერდზე), ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

დასაქმების გამავრცელებელ სხვა საინფორმაციო გვერდზეც (მაგალითად: www.jobs.ge). კონკურსი ტარდება ორ ეტაპად; პერსონალის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება დაწესებულებასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებისა და დაწესებულების შინაგანაწესის საფუძველზე.

პერსონალის მართვის დებულების შესაბამისად პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს დაწესებულების ადმინისტრაცია. თანამშრომლის შერჩევა ხდება კანდიდატის კვალიფიკაციის მოთხოვნების, განათლების, წინა სამსახურში მოპოვებული გამოცდილების ან/და გასაუბრების საფუძველზე.

პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დასაქმების მიზნით, დაწესებულება, როგორც წესი აცხადებს ვაკანსიებს შესაბამის პოზიციებზე, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, პერსონალის აყვანა ხდება დაწესებულებასთან მათი წარსული თანამშრომლობის საფუძველზეც, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და შესაბამის პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების გათვალისწინებით; მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს თუ როგორ ხდება დაწესებულებაში პერსონალის სამახურში აყვანა. მათ დაადგინეს, რომ მასწავლებლის შერჩევა ხდება როგორც კონკურსის წესით, ასევე რეკომენდაციების გათვალისწინებით. მასწავლებლის აყვანა ხდება დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით, კერძოდ, ვაკანსიის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის გზით. ადმინისტარციული და დამხმარე პერსიონალის შერჩევა ხდება ორ ეტაპად: დოკუმნეტაციის გადარჩევა და გასუბრება. ყველა რეგულაცია, რომელიც უკავშირდება დასაქმებულთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

უფლება-მოვალეობებს და ვებგვერდის მეშვეობით ინფორმირებას, საჯაროდაა განთავსებული დაწესებულების ვებგვერდზე.

3. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, კერძოდ, ექსპერტებმა შეისწავლეს მათი პირადი საქმეები და მოახდინეს გასაუბრება, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ადმინისტრაციის დროს გაცემული რეკომენდაცია - უცხო ენაზე გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აღიარებული იყოს ცენტრის მიერ. ექსპერტების მიერ მოხდა აღიარებული დოკუმენტების შესწავლა, ყველა მათგანი შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნასთან და დაკავებულ თანამდებობასთან.

4. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კერძოდ, პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანია თანამშრომლებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ პროდუქტიულობას და მაღალი შედეგების მიღწევას, გამორიცხავს ნეპოტიზმს. ინტერვიუირების შედეგად დაწებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით ხშირად მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს,როგორც პირისპირ, ასევე დისტანციურად. უზიარებენ ერთმანეთს საქმიანობისას წარმოშობილ გამოწვევებს, დაწესებულების განვითარების მიზნებისთვის მიმართვენ სენატს და დღის წესრიგის დადებითად გადაწყვეტილების შემთხვევაში უზრუნველყოფენ მის აღსრულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *პერსონალის მართვის დებულება;*
- *შინაგანაწესი;*
- *დაწესებულების ვებგვერდი;*
- *პერსონალის მართვის რეგულიაციების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *პერსონალის პირადი საქმეები/ cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატები;*
- *პერსონალთან და ადამიანურ რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

1. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს ადმინისტრაციისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი სივრცეები, რაც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით. IT მენეჯერთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულებაში სასწავლო და მართვის პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად, როგორც პირისპირ ასევე დისტანციური სწავლების დროს.

2. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. კერძოდ, დაწესებულებაში შექმნილია და გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების დებულება. დებულების მე-7 პუნქტი მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) მართვის პოლიტიკას და პროცედურებს. დაწესებულებაში შექმნილია საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება, განყოფილებას ხელმძღვანელობს და საქმიანობას უძღვება საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი და კომპიუტერული სისტემების სპეციალისტი. მასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში პერმანენტულად ხდება IT რისკების დადგენა და პრობლემის არსებობის შემთხვევაში მყისიერი რეაგირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

3. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. კერძოდ, დაწესებულებაში შექმნილია პერსონალის მართვის დებულება, დებულების თანახმად დამსაქმებელი უზრუნველყოფს დასაქმებულის პერსონალურ მონაცემთა დაცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მას უფლება აქვს დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური მონაცემები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. დებულების თანახმად „თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გამოყენებაზე“ ძალაში შედის მხარეთა მიერ შრომითი ან/და მომსახურების ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან დამოქმედებს მის გაუქმებამდე. ექსპერტებმა შეისწავლეს შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებები და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. პროფესიული სტუდენტი ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ის თანახმაა მისი პერსონალური მონაცემები გამოყენებული იყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; სასწავლებლის ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (გარდა სამედიცინო დახმარების პუნქტის, სამუშაო, გამოსაცვლელი და ჰიგიენისთვის განკუთვნილი ფართისა) წესრიგის, უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ვიდეო-კონტროლის მოწყობილობების გამოყენების შესახებ. „თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გამოყენებაზე“ პირობა გაწერილია პერსონალის მართვის დებულებაში, დაწესებულების მიერ დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა გამოყენებაზე თანხმობის ფორმა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ პროფესიული სტუდენტები და პერსონალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

4. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. კერძოდ, დაწესებულების მიერ შემუშავებულია და გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულია ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა. ბიზნესის უწყვეტობის გეგმის პროცესი შედგება ოთხი საფეხურისაგან:

საფეხური 1 - რისკების იდენტიფიცირება

საფეხური 2 - რისკების შეფასება

საფეხური 3 - რისკების შემცირება

საფეხური 4 - რისკების კომუნიკაცია და მონიტორინგი

დაწესებულებაში IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას უზრუნველყოფს IT მენეჯერი, იგი პერმანენტულად აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურას და უზრუნველყოფს IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას ბიზნესის უწყვეტობის გეგმით დადგენილი საფეხურების შესაბამისად.

5. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ინტერნეტ-პროვაიდერთან, შესაბამისად მათთვის შესაძლებელია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა ყველა სასწავლო სივრცეში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

6. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ მიერ უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება. მათი ინფორმირება ხდება ფეისბუქის დახურული ჯგუფებისა და სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით. ასევე შესაძლებელია გამოიყენონ ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი ან სხვა ელექტრონული სისტემა პროფესიული სტუდენტებისთვის, და პერსონალისთვის. საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს ჩაუტარდებათ ტრენინგები ელექტრონული ფოსტის/კომუნიკაციის ალტერნატიული სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;*
- *ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);*
- *IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;*
- *უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;*
- *ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

- *ელ.ფოსტის ერთიანი ჯგუფი / ერთიანი საკომუნიკაციო სისტემა პროფესიული სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;*

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

1. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი; კერძოდ, დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა აკმაყოფილებს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის ბრძანებულება №414-ს „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ დამტკიცების და ამოქმედების შესახებ.

2. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. კერძოდ, დაწესებულებაში მოქმედებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა Eflow. დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურის შესაბამისად დაწესებულებიდან გამავალი დოკუმენტაცია შეიძლება იყოს დაწერილი ბლანკზე ან გაგზავნილი ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით.

3. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას, კერძოდ, დაწესებულებას აქვს ვალდებულება ასახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით. ვიზიტის დროს დროს დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს დაუდასტურეს, რომ რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის შეტანა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

4. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულება თანამშრომლობს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დროულად აწვდის ანგარიშებს/უკუკავშირსა ან/ და ინფორმაციას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საჭიროების შემთხვევაში განათლების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, საკლასიფიკაციო საზოგადოება „რუსულ რეგისტრს“ და სხვა კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *დაწესებულების დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა-საქმისწარმოების წესი;*
- *საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა);*
- *მიღებული /გაგაზავნილი კორესპონდენცია;*
- *დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგები.*

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია მიმდინარე სიახლეები, რომელიც სისტემატურად განახლებადია. ვებგვერდზე მარტივია ნავიგაცია და ხელმისაწვდომია ინფორმაცია სასწავლებლის, ადმინისტრაციის შესახებ, გალერეა და საკონტაქტო ინფორმაცია. თვალსაჩინო და ხელმისწავდომია ინფრომაცია სერტიფიცირების ცენტრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებული პირებისთვის. პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის პროგრამების კატალოგი და ბიბლიოთეკის ელექტრონული პლატფორმა/კალატოგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია, ინფორმაცია საქმიანობის შესახებ, სტრუქტურა, პროგრამის სახელწოდებები და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი მოთხოვნები.

ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია დაწესებულების წლიური ანგარიშები, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისები, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობები.

დაწესებულების ფეისბუქ-გვერდი ასევე ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

2. დაწესებულებას აქვს ინგლისურენოვანი ვებგვერდი, სადაც განთავსებულია რელევანტური და განახლებული ინფორმაცია, რადგან დაწესებულების მისიაში განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ვიზიტის დროს შეემოწმებინათ დაწესებულების ინგლისურენოვანი ვებგვერდი და მასზე განთავსებული ინფორმაცია.

3. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კერძოდ, ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. შიდა ნორმატიული დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ და შესაბამისობაშია დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებთან, ხოლო კატალოგში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია საგანმანათლებლო პროგრამებთან.

4. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ; კატალოგში მოცემულია დაწესებულების შესახებ ინფორმაცია, ფოტო მასალა სწავლისა და სტუდენტური ცხოვრებისათვის აუცილებელი დამხმარე პირობების შესახებ, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია.

5. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად; ექსპერტებმა შეისწვლეს საგანმანათლებლო პროგრამების 2022 წლის კატალოგი, რომელიც განახლებულია პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

6. ექსპერტთა შეფასებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა ინფორმაცია, რომ პერმანენტულად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან/პარტნიორებთან მათთან გაფორმებული მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნკიკაციის წესი (ხარისხის სახელმძღვანელო, პუნქტი 8.2.1.), რომლითაც სარგებლობს მომხმარებელთან ურთიერთობის დროს. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ განახლებული ვებგვერდისა და ფეისბუქ-გვერდის მეშვეობით დაწესებულება იღებს უკუკავშირს, როგორც პროფესიული სტუდენტებისგან, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისგან. მათგან მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლების ელ.ფოსტა განთავსებულია საჯაროდ ვებგვერდზე, ასე რომ მათ შეუძლიათ მიიღონ უკუკავშირი ნებისმიერი დაინტერესებული პირისგან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;*
- *დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;*
- *ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის,სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;*
- *ვებგვერდზე მარტივად ნავიგაციის შედეგი;*
- *მთავარ ვებგვერდზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საჭირო ინფორმაციის დათვალიერების შედეგები;*
- *ვებ-გვერდზე განთავსებული მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდების, ჩარიცხვის პროცედურების, სწავლის შედეგებისა, მისანიჭებელი კვალიფიკაციის და სხვა ინფორმაციის დათვალიერების შედეგები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

- *ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, წლიური ანგარიშების, პროფესიული სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების დამადასტურებელი ინფორმაციის შემოწმების შედეგები;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

X. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება პროგრამისთვის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია

პროგრამის სახელწოდება	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	პროგრამის დამტკიცება - 2018 წლის 17 მაისის ბრძანება N 70; პროგრამის ცვლილება - 2019 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N 16, 2022 წლის 4 აპრილის ბრძანება N15-16/22.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. №29
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	144
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	111

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

XI. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**შეესაბამება**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**შეესაბამება**
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის- „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ - განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს ავტორიზაციის გზით 2021 წელს, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 144. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხანგრძლივობა არის 15 თვე, რის გამოც დაწესებულება პროფესიული სტუდენტების სრული რაოდენობის მიღებას ახორციელებს ორ ეტაპად: ერთ მიღებაზე 72 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებას პროგამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის გააჩნია საკუთრებაში არსებული 6 სართულიანი შენობა. „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პროგრამისათვის გამოიყენება მეხუთე სართულზე - 2 A გარემო 20 და 24 პროფესიული სტუდენტისთვის, 1 B გარემო; მეოთხე სართულზე - 1 ლინგაფონი, 1 B გარემო , 5 A გარემო, თითოეული 24 პროფესიული სტუდენტისთვის, სივრცე ადმინისტრაციისთვის; მესამე სართულზე 2 A გარემო 30 და 24 პროფესიული სტუდენტისთვის, ბიბლიოთეკა და სამასწავლებლო. დაწესებულებას გააჩნია 2 B გარემო, თითოეული 18 პროფესიულ სტუდენტზეა გათვლილი. აუდიტორიები აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მერხებით, მასწავლებლისთვის განკუთვნილი ინტერნეტში ჩართული კომპიუტერითა და ელექტრონული ეკრანით პრეზენტაციების დემონსტრირებისათვის. 72 პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში დაწესებულება შექმნის 4 ჯგუფს, მაქსიმუმ 18 პროფესიული სტუდენტი ერთ ჯგუფში. სწავლის პროცესის განახორციელება შესაძლებელია როგორც ერთ ცვლაში, ასევე ორ ცვლაში. პროგრამით გათვალისწინებული გარკვეული მოდულების განხორციელებისთვის დაწესებულება იყენებს შესაბამის C გარემოს. ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის უსაფრთხოების მეთოდების შესაწავლისათვის დაწესებულებას გააჩნია სახანძრო ტრენაჟორი, რომელიც მოწყობილია დაწესებულების ეზოში და აქვს გემის ფორმა. ტრენაჟორი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, გააჩნია სხვადასხვა ტიპის ხანძარმაქრები, ხანძარსაწინააღმდეგო ტანსაცმელი, აირწინაღის ბალონები, ხანძრის დემონსტიტრებისათვის საჭირო მოწყობილობა. დაწესებულებას ასევე აქვს სამედიცინო აუდიტორია, სადაც შეისწავლება პირველადი სამედიცინო დახმარების პრაქტიკული კომპონენტები. აუდიტორიაში განთავსებულია ადამიანის ზომის მულაჟი, ნემსისა და გადასხმისთვის საჭირო მულაჟი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

ხელოვნური სუნთქვის შესწავლის მანეკენი, სხვადასხვა სახის სახვევები მოტეხილობისა და ჭრილობებისთვის და სხვა. პირადი გადარჩენის მეთოდების შესწავლისათვის საჭირო აუზის გამოყენების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი შპს „ეკვატორთან“. ასევე დაწესებულებას საკუთარ მფლობელობაში არსებულ გემ „კაპიტან ო. ჩახვაძეზე“ მოწყობილი აქვს ზღვაში გადახტომის პლატფორმა, რომელსაც იყენებს შესაბამისი ამინდის პირობებში.

პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის 40 კრედიტიანი მოდულის განხორციელებისთვის დაწესებულება იყენებს მის მფლობელობაში არსებულ გემს „კაპიტანი ო. ჩახვაძეს“. საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დამატებით მოეძიებია ალტერნატიული პრაქტიკის ობიექტები. შესაბამისად, წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არნიშნული კომპონენტი შეფასებული იქნა, როგორც მეტწილი.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულების მიერ ექსპერტებისთვის წარმოდგენილ იქნა ანრისა და „ LTD LMNT- ს“ შორის 2021 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ძალაშია ხელმოწერიდან 10 წლის ვადით. მემორანდუმში აღნიშნულია რომ „LTD LMNT“ იღებს ვალდებულებას თავის მფლობელობაში არსებულ გემ “AKHTIAR“-ზე განახორციელოს წლის განმავლობაში მოდულური პროგრამის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ 30 პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფა ორ ცვლაში, ერთ ცვლაში 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. მემორანდუმით დასტურდება, რომ საწარმოო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პრაქტიკის ობიექტი თანახმაა თავისი გემი და საჭირო რესურსი გამოიყენოს პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფისთვის. ექსპერტთა მიერ შემოწმდა გემი AKHTIAR -ის დოკუმენტები, გემი რეგისტრირებულია საქართველოს დროშის ქვეშ, გააჩნია მოქმედი ვალიდური საკლასიფიკაციო ორგანიზაციის მიერ გაცემული სერტიფიკატები, დოკუმენტების შესაბამისად გემზე შესაძლებელია ერთდროულად იმყოფებოდეს 45 პერსონა, რაც საკმარისია მემორანდუმში აღნიშნული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობისა. რაც შეეხება დაწესებულების მფლობელობაში არსებულ გემს „კაპიტან ო. ჩახვაძეს“, მასზე შესაძლებელია ერთდროულად 36 პროფესიული სტუდენტის მიღება, რომელთაგან 18 იქნება „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამის პროფესიული სტუდენტები. დაწესებულება აღნიშნულ გემზე იყენებს 3 ცვლიან რეჟიმს, რაც უზრუნველყოფს 52 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფას. შესაბამისად, დაწესებულებას საკუთარი გემის გამოყენებით და პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში აქვს შესაძლებლობა განახორციელოს „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფა.

2. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, დაწესებულებას წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიღებული ჰქონდა რეკომენდაცია, რომლის თანამხად, მას პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან უნდა გაეფორმებინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ხელშეკრულებები მინიმუმ პროგრამის ხანგძლივობის ვადით, რათა უზრუნველყოფილ იყოს პროგრამის მდგრადობა. მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლითაც დასტურდება, რომ ხელშეკრულებების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადების შესაბამისად. პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვის გეგმით დასტურდება, რომ მათი დატვირთვა შესაბამისია მარეგულირებელ წესსა და საქართველოს შრომის კოდექსთან. საგემბანე ექსპლუატაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 31 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 13 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი.

3. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი „ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელიც ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების წესს, თანამდებობრივ ინსტრუქციებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ვალდებულებებსა და მოვალეობებს. დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლების განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები ძირითადად რუსულენოვანია, რაზეც წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია მიემართა ცენტრისთვის მათი აღიარების მიზნით. მიმდინარე ვიზიტის განმავლობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა ცენტრის მიერ აღიარებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რითაც დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნასთან. უნდა აიღნიშნოს, რომ დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირები არიან მეზღვაურები, რომლებსაც უდასტურდებათ შესაბამისი გამოცდილება. დაწესებულებამ ასევე გაითვალისწინა წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს გაცემული რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებით და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარა ტრენინგები, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით.

4. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კერძოდ, დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად მოდულური პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი ან იმავე კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი. დაწესებულებას ასევე მარეგულირებელი დოკუმენტით „პროფესიული დეპარტამენტის დებულებით“ დადგენილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები, რაც გულისხმობს: საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების შემუშავებაში მონაწილეობას; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლს; სასწავლო ლაბორატორიებსა და კლას-კაბინეტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

სტანდარტებთან შესაბამისობის და სასწავლო, საწვრთნელი პროცესებისათვის მზადყოფნის კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესების ხელმძღვანლობას; შემოწმების მიზნით, დროგამოშვებით, ლექციებზე დასწრებას; სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შესაძენი უახლესი ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოების, დანადგარების, აღჭურვილობის ნუსხის შედგენას; სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად სასწავლო და საგამოცდო პროცესების მონიტორინგს და სხვა.

„საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამის ხელმძღვანელის საქმის შემოწმებით და ინტერვიუს საფუძველზე ექსპერტთა მიერ დგინდება, რომ „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამის ხელმძღვანელად დაწესებულების მიერ დანიშნულია პირი, რომლის კვალიფიკაცია და კომპეტენცია შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს, მას აქვს დარგის სპეციალისტად და პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია.

5. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ, „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

განსაზღვრული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური სახით.

6. ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ, "მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულების", მე-17 მუხლის შესაბამისად სასწავლო პროცესი წარიმართება ინდივიდუალური გეგმის მიხედვით პროფესიული სტუდენტის ჩართულობით, მისი ინტერესების გათვალისწინებით, შშმ პირებისათვის, სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც დაუბრუნდნენ სასწავლო პროცესს, მობილობით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით დაწესებულებაში იქმნება ჯგუფი, რომელის შემადგენლობაში შედის პროფესიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ხარისხის სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელები და სტუდენტი. ჯგუფი ახორციელებს 4 ძირითად შეხვედრას, სადაც განიხილავს თითოეული სსსმ და შშმ პირების ინდივიდულაურ საჭიროებასა, შესაბამისად იქმნება ინდივიდუალური გეგმა და ხდება სასწავლო რესურსი ადაპტირება. დაწესებულებას დღეისათვის არ ჰყავს სსსმ და შშმ პირები. წესის შესაბამისად და ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, მათ მხადრასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინდივიდუალური გეგმების შედგენას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საგემბანე განყოფილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოითხოვს სპეციალური ჯანმრთელობის ცნობის აღებას, რაც თავისთავად გამორიცხავს სსსმ და შშმ პირების პროგრამაზე დაშვებას.

7. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ, დაწესებულებამ წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე შეიმუშავა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამის ბიუჯეტი ცალკე დოკუმენტად, რომელიც წარმოდგენილ იქნა მიმდინარე ვიზიტის დროს. პროგრამის ბიუჯეტი ასახავს შემოსავლის ნაწილს, სადაც მოცემულია როგორც სახელმწიფო ასევე კერძო დაფინანსებით მიღებული შემოსავლები და ხარჯების ნაწილს, სადაც ჩაშლილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, კერძოდ, კანცელარიის, კომუნალური, მივლინების, მასწავლებელთა ხელფასის, პრაქტიკის უზრუნველყოფის და სხვა. შემოსავლებისა და ხარჯის შესაბამისად დადგენილია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი - რაც წარმოადგენს 26 სტუდენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;*
- *პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;*
- *პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმი;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- *პროფესიული მოდულური პროგრამის სასწავლო პროცესის მართვის დებულება;*
- *პროფესიული დეპარტამენტის მართვის დებულება;*
- *ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი, დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;*
- *პროგრამის ბიუჯეტი;*
- *განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;*
- *ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას. კერძოდ, დაწესებულებას პროგრამის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი „შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია“. წესი ადგენს პროგრამის შეფასებისთვის სხვადასხვა ტიპის მეთოდების გამოყენების მექანიზმებს. დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარე - როგორიცაა სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დამსაქმებლები, დარგის ექპერტები. აღნიშნული ჯგუფებიდან დაწესებულება რეგულარულად ახდენს შიდა კვლევებს სტუდენტების, მასწავლებლებისა და თანამშრომელთა გამოკითხვებს, რომელთა შედეგებს აანალიზებს და წარადგენს ხელმძღვანელობის ანგარიშის დროს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. სტუდენტებმა ინსტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ უტარდებათ მსგავსი გამოკითხვა და ელექტრონულ პორტალზე ღებულობენ შესაბამის ელექტრონულ კითხვარს შესავსებად. დაწესებულება მუდმივად იღებს უკუკავშირს პარტნიორებისგან და გარე შემფასებლებისგან. დაწესებულება ასევე სერტიფიცირებულია ISO 9001:2015 ხარისხის სისტემის სტანდარტის შესაბამისად, მასერტიფიცირებელი ორგანიზაციის რუსული რეგისტრის მიერ, რაზეც გაცემულია შესაბამისი სერტიფიკატი. დაწესებულებამ აღნიშნულ ორგანიზაციას დაუკვეთა დამატებითი აუდიტის ჩატარება, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

სტანდარტების შესაბამისობასთან შემოწმების მიზნით. 2022 წლის 25 მარტს დაწესებულებაში ჩატარდა აუდიტი, ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა აუდიტის შედეგების ანგარიში და მაკორექტირებელ ქმედებათა გეგმა.

წინა ადმინისტრაციული წარმოების შემდეგ დაწესებულებამ ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა უკუკავშირის სიმცირის გამო, აღნიშნული კვლევის შედეგი დაწესებულებამ არ მიიჩნია ვალიდურად, შესაბამისად, დაწესებულებას მიმდინარე წლის შემოდგომით დაგეგმილი აქვს განმეორებით ჩაატაროს შრომის ბაზრის კვლევა.

2. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის და რესურსების შეფასებას, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების პროცესის, სასწავლებლის რესურსების, სერვისებისა და მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას. დაწესებულებას გაწერილი აქვს გეგმა, რომლის მიხედვითაც ადგენს რომელ თვეში რომელი კვლევა ჩაატაროს, თითოეული მიმართულებისთვის დადგენილია შეფასების პერიოდულობა. დაწესებულება აანალიზებს მიღებულ შედეგებს, და ითვალისწინებს შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და აქტივობების დაგეგმვისას, პროცესები გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. ინტერვიუს დროს პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი იღებენ მონაწილეობას სასწავლო პროცესის და პროგრამის შეფასებისთვის განხორციელებულ ელექტრონულ გამოკითხვებში, რომელსაც ისინი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ღებულობენ თავიანთ ელექტრონულ პლატფორმაზე. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლებმაც დაადასტურეს მათი ჩართულობა შეფასების პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია;*
- *დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა;*
- *პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტები;*
- *განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ, „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამისთვის დაწესებულებამ წარმოადგინა შედგენილი კალენდარული გეგმა. გეგმაში ასახულია თითოეული მოდულის განხორციელების პერიოდები და კვირეების მიხედვით დადგენილი საათები, როგორც საკონტაქტო ასევე დამოუკიდებელი. დაწესებულებას სასწავლო გეგმის ფარგლებში, გაწერილი აქვს რომელ კვირაში რომელი მოდული უნდა განხორციელდეს და ასევე ვინ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას ასევე დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. გეგმით დასტურდება რომ სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამა გაწერილია 60 კვირაზე, რაც დაახლოებით 15 თვეს შეადგენს. ინტერვიუს დროს დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ მან შეამცირა პროგრამის ხანგრძლივობა 16 თვიდან 15 თვემდე, სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე. მიმდინარე წელს პანდემიის დასრულებასთან დაკავშირებით დაწესებულებამ სასწავლო პროცესი აღადგინა პირისპირ რეჟიმში. ვიზიტის დროს სტუდენტები უკვე გადიოდნენ საწარმოო პრაქტიკის მოდულს. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ ისინი აღნიშნულ მოდულს გადიოდნენ გემზე. დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნები სრულად დამაკმაყოფილებელია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაოგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ სტუდენტებს. მათ დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

2. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. მიმდინარე პერიოდისთვის დაწესებულება სასწავლო პროცესს ახორციელებს პირისპირ. სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ არ შექმნიათ პრობლემა დისტანციური სწავლების დროს. დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტებს შესთავაზა დახმარება ინტერნეტის ან კომპიუტერის არქონის შემთხვევაში. ასევე დაწასებულებამ შექმნა ელექტრონული პლატფორმა პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელიც ეფექტური იყო დისტანციური სწავლების დროს. მასზე შესაძლებელი იყო სასწავლო მასალების ატვირთვა, შესაბამისი ლინკების მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება პროფესიული სტუდენტის ჩართულობით, მისი ინტერესების გათვალისწინებით .

3. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ, ვიზიტის დროს ექსპერტთა დათვალიერების შემდეგ დადგინდა რომ სასწავლო აუდიტორიებში დამონტაჟებულია ელექტრო მონიტორები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, რომლებიც აძლევს საშუალებას პროფესიული განათლების მასწავლებლებს გამოიყენონ სხვადასხვა ვიდეო-მასალა და ელ.რესურსი მოდულის განხორციელების დროს, უფრო საინტერესო რომ გახდეს სასწავლო პროცესი. ასევე დაწესებულებამ მოაწყო ლინგოფონის კაბინეტი, რომელიც მისცემს საშუალებას უცხოური ენის შესწავლა უფრო ეფექტურად განახორციელოს და მიაღწიოს სწავლის შედეგებს, რაც მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისათვის. ასევე დაწესებულებას გააჩნია გემის ხიდურის სიმულატორი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

რომლის სასწავლო პროცესში ჩართულობა გაზრდის სტუდენტთა მიერ ნავიგაციის მოდულის შედეგების მიღწევის ეფექტურობას. კაბინეტებში თვალსაჩინოებისთვის განთავსებულია სპეციალური პლაკატები თუ პოსტერები, დაწესებულებას აქვს ელექტრონული რუქების სიმულატორი. დაწესებულებას გააჩნია სამედიცინო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი (მულაჟები, სამედიცინო მანეკენი, მოტეხილობის სახვევები, ჭრილობის დასამუშავებელი მულაჟი), რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტისათვის პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას.

4. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კერძოდ, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს,რომ პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე არ დამდგარან, ასევე პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას არ მიუღია სსსმ პირი, შესაბამისად არ დამდგარა მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება, თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა, რომელსაც შეიმუშავებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, რომელიც მოხსენებითი ბარათით დასამტკიცებლად წარედგინება დაწესებულების გენერალურ დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები, მარეგულირებელი წესის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს. უზრუნველყოფილი იქნება სსსმ და შშმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობა და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა. მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის წარმართვას ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის ჩართულობით, მისი ინტერესების გათვალისწინებით როგორც სსსმ პირებისთვის, სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც დაუბრუნდნენ სასწავლო პროცესს, მობილობით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტებისთვის, და სხვა შემთხვევებში.

5. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით,. კერძოდ, დაწესებულება პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობს სხვადასხვა პარტნიორ დაწესებულებებთან. მას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს გემ AKHTIAR-ის მფლობელთან შპს „LTD LMNT“- არაუმეტეს 60 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფის თაობაზე.პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აღნიშნულია პროგრამა და ის მოდულები, რომელთა სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შედეგები მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე, ასევე ვალდებულება უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

6. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სხვადასხვა პრაქტიკული წვრთნების განხორციელებას, შესაბამისად დაწესებულების სამუშაო (სიმულაციურ) გარემოში დაცულია უსაფრთხოების წესები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. ასევე, უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროგრამისთვის განკუთვნილ c გარემოში. უსაფრთხოების წესები დაცულია საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე - გემ კაპიტან ო. ჩახვაძეზე და გემზე AKHTIAR.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პროგრამა;*
- *სასწავლო და კალენდარული გეგმა;*
- *პეროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება;*
- *პროფესიული დეპარტამენტის დებულება;*
- *პრაქტიკის ობიექტთან გაფრომებული მემორანდუმი/გემ “AHKTIAR”-ის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია;*
- *გემ „კაპიტან ო. ჩახვაძის“ საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი/გემის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

- *განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;*
- *შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *დათვალიერების შედეგები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. კერძოდ, დაწესებულებას შეფასების სისტემა განსაზღვრული აქვს მარეგულირებელ დოკუმენტში - „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომელშიც ცვლილება განახორციელა 2021 წლის 19 ნოემბერს. აღნიშნული წესი ადგენს პროფესიული სტუდენტის შეფასების, სწავლის შედეგების მიღწევისა და დადასტურების ყველა ეტაპსა და პროცედურას. კერძოდ, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის, ასევე შეფასების შედეგების გამოყენების წესებს და შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს. დაწესებულება ადგენს, რომ შეფასება არის ორი ტიპის განმავითარებელი და განმსაზღვრელი. წესი ასევე ადგენს, რომ შეფასების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, საიმედო და სამართლიანი. სტუდენტს აქვს საშუალება შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

გადააბაროს ხელმეორედ, ასვე განსაზღვრულია გასაჩივრებისა და აპელაციის წესები, შეფასების შედეგების სტუდენტზე ინფორმირების წესი, მეთოდი და ვადები. ზემოაღნიშნული წესით აღწერილი პროცესი ასევე დადასტურდა სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს ვალიდაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია.

2. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი მოიცავს ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმებსა და პროცედურას. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების მიზნით დაწესებულების ხარისხის სამსახური წლის დასაწყისში შეიმუშავებს ვერიფიკაციის გეგმას, სადაც წინასწარ განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს (ვერიფიკატორი/ ვერიფიკაციის ჯგუფი) და პერიოდს რისკების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას დაწესებულება მხედველობაში იღებს ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებულ რესურსს და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას.

მიმდინარე ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. პროცესი დაწყებულია, დაწესებულების მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად ვერიფიკაციის პროცესი უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის ივლისის თვეში. დაწესებულებას გააზრებული აქვს პროცესის მნიშვნელოვნება, შესაბამისად ხელშეკრულებით აყვანილია კონსულტანტი, რომელიც ჩაერთვება ვერიფიკაციის პროცესში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შესაბამის რეკომენდაციებს გაუწევს სასწავლო პროცესის მენეჯერს, ხარისხის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

3. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების (მონაცემები,ინფორმაცია, ფოტო და ვიდეო მასალა, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხვა ხდება „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მიხედვით და ინახება ისეთი წესით, რომ მარტივი იყოს შეფასების მიხედვით სტუდენტთა იდენტიფიცირება. შეფასების ინსტრუმენტის შესრულების მტკიცებულებები, ინახება მატერიალური ან ციფრული სახით პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით. სტუდენტის პორტფოლიო ისეა ორგანიზებული, რომ ადვილად მოხდეს მისი იდენტიფიცირება და მიკვლევადობა. კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, შეფასების შედეგების განკარგვა ხდება დაწესებულების ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.

4. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ, ხარისხის მენეჯერი აანალიზებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგებს და იყენებს მათ შეფასების სისტემის შემდგომი განვითარება/გაუმჯობესებისთვის, ხოლო ვერიფიკაციის შედეგებს იყენებს შეფასების ინსტრუმენტების განვითარებისათვის. ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

მასწავლებლებს, მათი თქმით უარყოფითი შეფასების შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი აუცილებლად მისცემენ პროფესიულ სტუდენტებს განმავითარებელ უკუკავშირს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი განთავსებული დაწესებულების ვებგვერდზე;*
- *ვალიდაციის/ვერიფიკაციის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *პროფესიულ სტუდენტთა შეფასების/კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები;*
- *გასაჩივრების პროცედურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

X. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება პროგრამისთვის გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია

პროგრამის სახელწოდება	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	პროგრამის დამტკიცება - 2018 წლის 17 მაისის ბრძანება N 70; პროგრამის ცვლილება - 2019 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N 16, 2022 წლის 4 აპრილის ბრძანება N15-16/22.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. №29

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	144
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	107

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

XI. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**შეესაბამება**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**შეესაბამება**
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის გემის სასამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის- „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ - განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს ავტორიზაციის გზით 2021 წელს, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 144. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხანგრძლივობა არის 14 თვე და ერთი კვირა, რის გამოც დაწესებულება პროფესიულ სტუდენტების სრული რაოდენობის მიღებას ახორციელებს ორ ეტაპად: ერთ მიღებაზე 72 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებას პროგამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის გააჩნია საკუთრებაში არსებული 6 სართულიანი შენობა. „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

გამოიყენება მეხუთე სართულზე - 2 A გარემო 20 და 24 პროფესიული სტუდენტისთვის, 1 B გარემო; მეოთხე სართულზე - 1 ლინგაფონი, 1 B გარემო , 5 A გარემო, თითოეული 24 პროფესიული სტუდენტისთვის, სივრცე ადმინისტრაციისთვის; მესამე სართულზე 2 A გარემო 30 და 24 პროფესიული სტუდენტისთვის, ბიბლიოთეკა და სამასწავლებლო. დაწესებულებას გააჩნია 2 B გარემო, თითოეული 18 პროფესიულ სტუდენტზეა გათვლილი. აუდიტორიები აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მერხებით, მასწავლებლისთვის განკუთვნილი ინტერნეტში ჩართული კომპიუტერითა და ელექტრონული ეკრანით პრეზენტაციების დემონსტრირებისათვის. 72 პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში დაწესებულება შექმნის 4 ჯგუფს, მაქსიმუმ 18 პროფესიული სტუდენტი ერთ ჯგუფში. სწავლის პროცესის განახორციელება შესაძლებელია როგორც ერთ ცვლაში, ასევე ორ ცვლაში. პროგრამით გათვალისწინებული გარკვეული მოდულების განხორციელებისთვის დაწესებულება იყენებს სხვადასხვა მოდულისათვის საჭირო რამოდენიმე ტიპის C გარემოს. მოდული „მექანიზმების ტექნიკური მომსახურეობა/რემონტი“ ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტისათვის გემის ძრავების მუშაობის პრინციპის გაცნობას და სამანქანე განყოფილებაში საჭირო სარემონტო სამუშაოების წარმოების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი C გარემო, სადაც განთავსებულია გემის ძრავა და დამხმარე მექანიზმები, სახარატო დაზგა და შედუღების აპარატი. ასევე, ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის უსაფრთხოების მეთოდების შესაწავლისათვის დაწესებულებას გააჩნია სახანძრო ტრენაჟორი, რომელიც მოწყობილია დაწესებულების ეზოში და აქვს გემის ფორმა. ტრენაჟორი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, გააჩნია სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ტიპის ხანძარმაქრები, ხანძარსაწინააღმდეგო ტანსაცმელი, აირწინაღის ბალონები, ხანძრის დემონსტიტრებისათვის საჭირო მოწყობილობა. დაწესებულებას ასევე აქვს სამედიცინო აუდიტორია, სადაც შეისწავლება პირველადი სამედიცინო დახმარების პრაქტიკული კომპონენტები. აუდიტორიაში განთავსებულია ადამიანის ზომის მულაჟი, ნემსისა და გადასხმისთვის საჭირო მულაჟი, ხელოვნური სუნთქვის შესწავლის მანეკენი, სხვადასხვა სახის სახვევები მოტეხილობისა და ჭრილობებისთვის და სხვა. პირადი გადარჩენის მეთოდების შესწავლისათვის საჭირო აუზის გამოყენების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი შპს „ეკვატორთან“. ასევე დაწესებულებას საკუთარ მფლობელობაში არსებულ გემ „კაპიტან ო. ჩახვაძეზე“ მოწყობილი აქვს ზღვაში გადახტომის პლატფორმა, რომელსაც იყენებს შესაბამისი ამინდის პირობებში.

პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის 40 კრედიტიანი მოდულის განხორციელებისთვის დაწესებულება იყენებს მის მფლობელობაში არსებულ გემს „კაპიტანი ო. ჩახვაძეს“. საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დამატებით მოეძიებია ალტერნატიული პრაქტიკის ობიექტები. შესაბამისად, წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არნიშნული კომპონენტი შეფასებული იქნა, როგორც მეტწილი.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულების მიერ ექსპერტებისთვის წარმოდგენილ იქნა ანრისა და „ LTD LMNT- ს“ შორის 2021 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ძალაშია ხელმოწერიდან 10 წლის ვადით. მემორანდუმში აღნიშნულია რომ „LTD LMNT“ იღებს ვალდებულებას თავის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

მფლობელობაში არსებულ გემ “AKHTIAR“-ზე განახორციელოს წლის განმავლობაში მოდულური პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ 30 პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფა ორ ცვლაში, ერთ ცვლაში 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. მემორანდუმით დასტურდება, რომ პრაქტკის ობიექტი იღებს ვაალდებულებას უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების გემითა და საჭირო რესურსით უზრუნველყოფა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით. ექსპერტთა მიერ შემოწმდა გემი AKHTIAR -ის დოკუმენტები, გემი რეგისტრირებულია საქართველოს დროშის ქვეშ, გააჩნია მოქმედი ვალიდური საკლასიფიკაციო ორგანიზაციის მიერ გაცემული სერტიფიკატები, დოკუმენტების შესაბამისად გემზე შესაძლებელია ერთდროულად იმყოფებოდეს 45 პერსონა, რაც საკმარისია მემორანდუმში აღნიშნული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობისა. რაც შეეხება დაწესებულების მფლობელობაში არსებულ გემს „კაპიტან ო. ჩახვაძეს“, მასზე შესაძლებელია ერთდროულად 36 პროფესიული სტუდენტის მიღება, რომელთაგან 18 იქნება „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამის პროფესიული სტუდენტები. დაწესებულება აღნიშნულ გემზე იყენებს 3 ცვლიან რეჟიმს, რაც უზრუნველყოფს 52 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფას. შესაბამისად, დაწესებულებას საკუთარი გემის გამოყენებით და პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში აქვს შესაძლებლობა განახორციელოს „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, დაწესებულებას წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიღებული ჰქონდა რეკომენდაცია, რომლის თანამხად, მას პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან უნდა გაეფორმებინა ხელშეკრულებები მინიმუმ პროგრამის ხანგძლივობის ვადით, რათა უზრუნველყოფილ იყოს პროგრამის მდგრადობა. მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლითაც დასტურდება, რომ ხელშეკრულებების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადების შესაბამისად. პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვის გეგმით დასტურდება, რომ მათი დატვირთვა შესაბამისია მარეგულირებელ წესსა და საქართველოს შრომის კოდექსთან. „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 31 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 13 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი.
3. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი „ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელიც ადგენს პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

მასწავლებლის მიღების წესს, თანამდებობრივ ინსტრუქციებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ვალდებულებებსა და მოვალეობებს. დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლების განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები ძირითადად რუსულენოვანია, რაზეც წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია მიემართა ცენტრისთვის მათი აღიარების მიზნით. მიმდინარე ვიზიტის განმავლობაში დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა ცენტრის მიერ აღიარებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რითაც დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნასთან. უნდა აიღნიშნოს, რომ დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირები არიან მეზღვაურები, რომლებსაც უდასტურდებათ შესაბამისი გამოცდილება. დაწესებულებამ ასევე გაითვალისწინა წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს გაცემული რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებით და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარა ტრენინგები, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით.

4. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კერძოდ, დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად მოდულური პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი ან იმავე კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი. დაწესებულებას ასევე მარეგულირებელი დოკუმენტით „პროფესიული დეპარტამენტის დებულებით“ დადგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

აქვს პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები, რაც გულისხმობს: საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების შემუშავებაში მონაწილეობას; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლს; სასწავლო ლაბორატორიებსა და კლას-კაბინეტების სტანდარტებთან შესაბამისობის და სასწავლო, საწვრთნელი პროცესებისათვის მზადყოფნის კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესების ხელმძღვანლობას; შემოწმების მიზნით, დროგამოშვებით, ლექციებზე დასწრებას; სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შესაძენი უახლესი ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოების, დანადგარების, აღჭურვილობის ნუსხის შედგენას; სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად სასწავლო და საგამოცდო პროცესების მონიტორინგს და სხვა.

„გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამის ხელმძღვანელის საქმის შემოწმებით და ინტერვიუს საფუძველზე ექსპერტთა მიერ დგინდება, რომ გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროგრამის ხელმძღვანელად დაწესებულების მიერ დანიშნულია პირი, რომლის კვალიფიკაცია და კომპეტენცია შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს, მას აქვს დარგის სპეციალისტად და პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია.

5. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პროცესში. კერძოდ, „გემის სანამქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამით განსაზღვრული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური სახით.

6. ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ, “მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულების“, მე-17 მუხლის შესაბამისად სასწავლო პროცესი წარიმართება ინდივიდუალური გეგმის მიხედვით პროფესიული სტუდენტის ჩართულობით, მისი ინტერესების გათვალისწინებით, შშმ პირებისათვის, სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც დაუბრუნდნენ სასწავლო პროცესს, მობილობით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით დაწესებულებაში იქმნება ჯგუფი, რომელის შემადგენლობაში შედის პროფესიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ხარისხის სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელები და სტუდენტი. ჯგუფი ახორციელებს 4 ძირითად შეხვედრას, სადაც განიხილავს თითოეული სსსმ და შშმ პირების ინდივიდულაურ საჭიროებასა, შესაბამისად იქმნება ინდივიდუალური გეგმა და ხდება სასწავლო რესურსი ადაპტირება. დაწესებულებას დღეისათვის არ ჰყავს სსსმ და შშმ პირები. წესის შესაბამისად და ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, მათ მხადრასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინდივიდუალური გეგმების შედგენას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

საგანმანათლებლო პროგრამა მოითხოვს სპეციალური ჯანმრთელობის ცნობის აღებას, რაც თავისთავად გამორიცხავს სსსმ და შშმ პირების პროგრამაზე დაშვებას.

7. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ, დაწესებულებამ წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე შეიმუშავა „გემის სამანქაანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამის ბიუჯეტი ცალკე დოკუმენტად, რომელიც წარმოდგენილ იქნა მიმდინარე ვიზიტის დროს. პროგრამის ბიუჯეტი ასახავს შემოსავლის ნაწილს, სადაც მოცემულია როგორც სახელმწიფო ასევე კერძო დაფინანსებით მიღებული შემოსავლები და ხარჯების ნაწილს, სადაც ჩაშლილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, კერძოდ, კანცელარიის, კომუნალური, მივლინების, მასწავლებელთა ხელფასის, პრაქტიკის უზრუნველყოფის და სხვა. შემოსავლებისა და ხარჯის შესაბამისად დადგენილია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი - რაც წარმოადგენს 26 სტუდენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;*
- *პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;*
- *პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმი;*
- *პროფესიული მოდულური პროგრამის სასწავლო პროცესის მართვის დებულება;*
- *პროფესიული დეპარტამენტის მართვის დებულება;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- *ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი, დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;*
- *პროგრამის ბიუჯეტი;*
- *განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;*
- *ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

1. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას. კერძოდ, დაწესებულებას პროგრამის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი „შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია“. წესი ადგენს პროგრამის შეფასებისთვის სხვადასხვა ტიპის მეთოდების გამოყენების მექანიზმებს. დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარე - როგორიცაა სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დამსაქმებლები, დარგის ექპერტები. აღნიშნული ჯგუფებიდან დაწესებულება რეგულარულად ახდენს შიდა კვლევებს სტუდენტების, მასწავლებლებისა და თანამშრომელთა გამოკითხვებს, რომელთა შედეგებს აანალიზებს და წარადგენს ხელმძღვანელობის ანგარიშის დროს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. სტუდენტებმა ინსტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ უტარდებათ მსგავსი გამოკითხვა და ელექტრონულ პორტალზე ღებულობენ შესაბამის ელექტრონულ კითხვარს შესავსებად. დაწესებულება მუდმივად იღებს უკუკავშირს პარტნიორებისგან და გარე შემფასებლებისგან. დაწესებულება ასევე სერტიფიცირებულია ISO 9001:2015 ხარისხის სისტემის სტანდარტის შესაბამისად, მასერტიფიცირებელი ორგანიზაციის რუსული რეგისტრის მიერ, რაზეც გაცემულია შესაბამისი სერტიფიკატი. დაწესებულებამ აღნიშნულ ორგანიზაციას დაუკვეთა დამატებითი აუდიტის ჩატარება, პროფესიული სტანდარტების შესაბამისობასთან შემოწმების მიზნით. 2022 წლის 25 მარტს დაწესებულებაში ჩატარდა აუდიტი, ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა აუდიტის შედეგების ანგარიში და მაკორექტირებელ ქმედებათა გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

წინა ადმინისტრაციული წარმოების შემდეგ დაწესებულებამ ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა უკუკავშირის სიმცირის გამო, აღნიშნული კვლევის შედეგი დაწესებულებამ არ მიიჩნია ვალიდურად, შესაბამისად, დაწესებულებას მიმდინარე წლის შემოდგომით დაგეგმილი აქვს განმეორებით ჩაატაროს შრომის ბაზრის კვლევა.

3. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის და რესურსების შეფასებას, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების პროცესის, სასწავლებლის რესურსების, სერვისებისა და მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას. დაწესებულებას გაწერილი აქვს გეგმა, რომლის მიხედვითაც ადგენს რომელ თვეში რომელი კვლევა ჩაატაროს, თითოეული მიმართულებისთვის დადგენილია შეფასების პერიოდულობა. დაწესებულება აანალიზებს მიღებულ შედეგებს, და ითვალისწინებს შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და აქტივობების დაგეგმვისას, პროცესები გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. ინტერვიუს დროს პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი იღებენ მონაწილეობას სასწავლო პროცესის და პროგრამის შეფასებისთვის განხორციელებულ ელექტრონულ გამოკითხვებში, რომელსაც ისინი ღებულობენ თავიანთ ელექტრონულ პლატფორმაზე. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლებმაც დაადასტურეს მათი ჩართულობა შეფასების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია;*
- *დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა;*
- *პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტები;*
- *განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ, „გემის სამანქაანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამისთვის დაწესებულებამ წარმოადგინა შედგენილი კალენდარული გეგმა. გეგმაში ასახულია თითოეული მოდულის განხორციელების პერიოდები და კვირეების მიხედვით დადგენილი საათები, როგორც საკონტაქტო ასევე დამოუკიდებელი. დაწესებულებას სასწავლო გეგმის ფარგლებში, გაწერილი აქვს რომელ კვირაში რომელი მოდული უნდა განხორციელდეს და ასევე ვინ არის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას ასევე დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

დასტურდება რომ სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამა გაწერილია 57 კვირაზე, რაც დაახლოებით 14 თვეს შეადგენს. ინტერვიუს დროს დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ მან შეამცირა პროგრამის ხანგრძლივობა 15 თვიდან 14 თვემდე, სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე. მიმდინარე წელს პანდემიის დასრულებასთან დაკავშირებით დაწესებულებამ სასწავლო პროცესი აღადგინა პირისპირ რეჟიმში. ვიზიტის დროს სტუდენტები უკვე გადიოდნენ საწარმოო პრაქტიკის მოდულს. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ ისინი აღნიშნულ მოდულს გადიოდნენ გემზე. დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნები სრულად დამაკმაყოფილებელია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაოგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ სტუდენტებს. მათ დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

2. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. მიმდინარე პერიოდისთვის დაწესებულება სასწავლო პროცესს ახორციელებს პირისპირ. სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ არ შექმნიათ პრობლემა დისტანციური სწავლების დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტებს შესთავაზა დახმარება ინტერნეტის ან კომპიუტერის არქონის შემთხვევაში. ასევე დაწასებულებამ შექმნა ელექტრონული პლატფორმა პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელიც ეფექტური იყო დისტანციური სწავლების დროს. მასზე შესაძლებელი იყო სასწავლო მასალების ატვირთვა, შესაბამისი ლინკების მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება პროფესიული სტუდენტის ჩართულობით, მისი ინტერესების გათვალისწინებით .

3. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ, ვიზიტის დროს ექსპერტთა დათვალიერების შემდეგ დადგინდა რომ სასწავლო აუდიტორიებში დამონტაჟებულია ელექტრო მონიტორები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, რომლებიც აძლევს საშუალებას პროფესიული განათლების მასწავლებლებს გამოიყენონ სხვადასხვა ვიდოე-მასალა და ელ.რესურსი მოდულის განხორციელების დროს, უფრო საინტერესო რომ გახდეს სასწავლო პროცესი. ასევე დაწესებულებამ მოაწყო ლინგოფონის კაბინეტი, რომელიც მისცემს საშუალებას უცხოური ენის შესწავლა უფრო ეფექტურად განახორციელოს და მიაღწიოს სწავლის შედეგებს, რაც მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისათვის. ასევე დაწესებულებას გააჩნია გემის სამანქანე განყოფილების სიმულატორი, რომლის სასწავლო პროცესში ჩართულობა გაზრდის სტუდენტთა მიერ ნავიგაციის მოდულის შედეგების მიღწევის ეფექტურობას. კაბინეტებში თვალსაჩინოებისთვის განთავსებულია სპეციალური პლაკატები თუ პოსტერები. დაწესებულებას გააჩნია სამედიცინო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი (მულაჟები, სამედიცინო მანეკენი, მოტეხილობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

სახვევები, ჭრილობის დასამუშავებელი მულაჟი), რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტისათვის პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას.

4. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კერძოდ, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს,რომ პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე არ დამდგარან, ასევე პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას არ მიუღია სსსმ პირი, შესაბამისად არ დამდგარა მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება, თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა, რომელსაც შეიმუშავებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, რომელიც მოხსენებითი ბარათით დასამტკიცებლად წარედგინება დაწესებულების გენერალურ დირექტორს.

   დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები, მარეგულირებელი წესის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს. უზრუნველყოფილი იქნება სსსმ და შშმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობა და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა. მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის წარმართვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის ჩართულობით, მისი ინტერესების გათვალისწინებით როგორც შშმ პირებისთვის, სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც დაუბრუნდნენ სასწავლო პროცესს, მობილობით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტებისთვის, და სხვა შემთხვევებში.

5. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით,. კერძოდ, დაწესებულება პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობს სხვადასხვა პარტნიორ დაწესებულებებთან. მას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს გემ AKHTIAR-ის მფლობელთან შპს „LTD LMNT“- არაუმეტეს 60 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფის თაობაზე.პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აღნიშნულია პროგრამა და ის მოდულები, რომელთა სწავლის შედეგები მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე, ასევე ვალდებულება უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

6. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სხვადასხვა პრაქტიკული წვრთნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

განხორციელებას, შესაბამისად დაწესებულების სამუშაო (სიმულაციურ) გარემოში დაცულია უსაფრთხოების წესები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. ასევე, უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროგრამისთვის განკუთვნილ c გარემოში. უსაფრთხოების წესები დაცულია საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე - გემ კაპიტან ო. ჩახვაძეზე და გემზე AKHTIAR..

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პროგრამა;*
- *სასწავლო და კალენდარული გეგმა;*
- *პროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება;*
- *პროფესიული დეპარტამენტის დებულება;*
- *პრაქტიკის ობიექტთან გაფრომებული მემორანდუმი/გემ "AHKTIAR"-ის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია;*
- *გემ „კაპიტან ო. ჩახვაძის" საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი/გემის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია;*
- *განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;*
- *შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *დათვალიერების შედეგები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. კერძოდ, დაწესებულებას შეფასების სისტემა განსაზღვრული აქვს მარეგულირებელ დოკუმენტში - „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომელშიც ცვლილება განახორციელა 2021 წლის 19 ნოემბერს. აღნიშნული წესი ადგენს პროფესიული სტუდენტის შეფასების, სწავლის შედეგების მიღწევისა და დადასტურების ყველა ეტაპსა და პროცედურას. კერძოდ, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის, ასევე შეფასების შედეგების გამოყენების წესებს და შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს. დაწესებულება ადგენს, რომ შეფასება არის ორი ტიპის განმავითარებელი და განმსაზღვრელი. წესი ასევე ადგენს, რომ შეფასების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, საიმედო და სამართლიანი. სტუდენტს აქვს საშუალება შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

გადააბაროს ხელმეორედ, ასვე განსაზღვრულია გასაჩივრებისა და აპელაციის წესები, შეფასების შედეგების სტუდენტზე ინფორმირების წესი, მეთოდი და ვადები. ზემოაღნიშნული წესით აღწერილი პროცესი ასევე დადასტურდა სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს ვალიდაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია.

2. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი ასევე აღწერს ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმებსა და პროცედურას. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების მიზნით დაწესებულების ხარისხის სამსახური წლის დასაწყისში შეიმუშავებს ვერიფიკაციის გეგმას, სადაც წინასწარ განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს (ვერიფიკატორი/ ვერიფიკაციის ჯგუფი) და პერიოდს რისკების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა;

მიმდინარე ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. პროცესი დაწყებულია, დაწესებულების მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად ვერიფიკაციის პროცესი უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის ივლისის თვეში. დაწესებულებას გააზრებული აქვს პროცესის მნიშვნელოვნება, შესაბამისად ხელშეკრულებით აყვანილია კონსულტანტი, რომელიც ჩაერთვება ვერიფიკაციის პროცესში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

შესაბამის რეკომენდაციებს გაუწევს სასწავლო პროცესის მენეჯერს, ხარისხის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

3. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ, „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესში“ აღნიშნულია, რომ შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები,ინფორმაცია, ფოტო და ვიდეო მასალა, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება და ინახება ისეთი წესით, რომ მარტივი იყოს შეფასების მიხედვით სტუდენტთა იდენტიფიცირება. შეფასების ინსტრუმენტის შესრულების მტკიცებულებები, ინახება მატერიალური ან ციფრული სახით პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით. სტუდენტის პორტფოლიო ისეა ორგანიზებული, რომ ადვილად მოხდეს მისი იდენტიფიცირება და მიკვლევადობა. კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, შეფასების შედეგების განკარგვა ხდება დაწესებულების ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.

4. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ, ხარისხის მენეჯერი აანალიზებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგებს და იყენებს მათ შეფასების სისტემის შემდგომი განვითარება/გაუმჯობესებისთვის, ხოლო ვერიფიკაციის შედეგებს იყენებს შეფასების ინსტრუმენტების განვითარებისათვის. ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(თბილისი, 2022)

მასწავლებლებს, მათი თქმით უარყოფითი შეფასების შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი აუცილებლად მისცემენ პროფესიულ სტუდენტებს განმავითარებელ უკუკავშირს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი განთავსებული დაწესებულების ვებგვერდზე;*
- *ვალიდაციის/ვერიფიკაციის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *პროფესიულ სტუდენტთა შეფასების/კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები;*
- *გასაჩივრების პროცედურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XII. თანდართული დოკუმენტაცია - ვიზიტის დღის წესრიგი - 2 გვერდი, გაგზავნილია ცენტრში დასკვნის პროექტთან ერთად.

04.07. 2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: